ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

1. **შეიცვალოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   „8.8. ნებისმიერი შეტყობინების გასაგზავნად და ჩასაბარებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებები, მათ შორის ელექტრონული (Mail), ნებისმიერი ციფრული, სატელეფონო, საფოსტო გზავნილი, მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS MMS), Push Notification (უშუალოდ კლიენტის მობილური ტელეფონის აპარატზე გაგზავნილი შეტყობინება. Push Notification-ის დეტალური აღწერა (მათ შორის აქტივაცია/დეაქტივაცია) მოცემულია ბანკის სხვადასხვა საინფორმაციო არხში (მათ შორის ბანკის ვებგვერდზე: https://tbcbank.ge/ka/digital-services/sms-banking)), საკომუნიკაციო აპლიკაციები (მათ შორის WhatsApp და ა.შ.) და სხვა: ნებისმიერი ფორმით განხორციელებულ შეტყობინებას აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა და შესაძლებელია შეტყობინებისთვის გამოყენებულ იქნას ერთობლივად, როგორც რამდენიმე, ისე ერთ-ერთი მათგანი.“

2. **შეიცვალოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.8.6 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   „8.8.6. კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ თანახმაა, ბანკის მიერ კლიენტისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით გასაგზავნი/მისაწოდებელი ინფორმაცია/შეტყობინება კლიენტმა მიიღოს Push Notification-ის / საკომუნიკაციო აპლიკაციების (მათ შორის WhatsApp და ა.შ.) საშუალებით. ამასთან, Push Notification-ით / საკომუნიკაციო აპლიკაციებით (მათ შორის WhatsApp და ა.შ.) განხორციელებულ შეტყობინებას გააჩნია მოკლე ტექსტური შეტყობინებისთვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული (ტოლფასი) იურიდიული ძალა.“

3. **შეიცვალოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.8.7 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   „8.8.7. კლიენტი ადასტურებს, რომ ბანკის მიერ იგი სრულად არის ინფორმირებული ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით განსაზღვრული მომსახურების („მომსახურება მოკლე ტექსტური შეტყობინებებით (SMS სერვისი)“) მიღების ალტერნატიულ საშუალებასთან (ინფორმაციის/შეტყობინების Push Notification-ით / საკომუნიკაციო აპლიკაციებით (მათ შორის WhatsApp და ა.შ.) მიღებასთან) დაკავშირებით. Push Notification-ით / საკომუნიკაციო აპლიკაციებით (მათ შორის WhatsApp და ა.შ.) კლიენტის ინფორმირებაზე/შეტყობინებაზე სრულად ვრცელდება ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით განსაზღვრული მომსახურების წესები/პირობები. ამავდროულად, კლიენტს უფლება აქვს თავად, საკუთარი შეხედულებისამებრ, აირჩიოს/განსაზღვროს ინფორმაციის/შეტყობინების მიღების წყარო/არხი (მოკლე ტექსტური შეტყობინება / Push Notification / საკომუნიკაციო აპლიკაციები (მათ შორის WhatsApp და ა.შ.)).“